# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1559 2016 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ, არასაბიუჯეტო შემოსავლების ფარგლებში, კონსერვატორიის შენობის ცენტრალური (დიდი) დარბაზის რეაბილიტაციისათვის საჭირო 417 847 (ოთხას ჩვიდმეტი ათას რვაას ორმოცდაშვიდი) ლარის ღირებულების საკონცერტო სავარძლების

სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**